

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

პანდემიის შემდგომ პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში პროგნოზირებულთან შედარებით გაცილებით მაღალი ეკონომიკური ტენდენციები იყო. 2021-2023 წლებში ეკონომიკური პარამეტრები ზრდის მიმართულებით დაკორექტირდა და რეალური ეკონომიკური ზრდის სამი წლის ფაქტიურმა საშუალო მაჩვენებელმა 9,8% შეადგინა.

ეკონომიკური ზრდის შესაბამისად ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი, 2020 წელს არსებული 49,8 მლრდ ლარიდან 2023 წლის ბოლოსთვის 80,9 მლრდ ლარამდე გაიზარდა.

მაღალმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა, პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსების ზრდის მიუხედავად, შესაძლებელი გახადა განხორციელებულიყო მნიშვნელოვანი ფისკალური კონსოლიდაცია და შედეგად შემცირებულიყო მთავრობის ვალის მაჩვენებელი, კერძოდ 2023 წლის ბოლოსთვის ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი 2020 წელს არსებული მშპ-ს 9,3%-დან შემცირდა მშპ-ს 2,4%-მდე, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი 2020 წლის 60,2%-იდან 39,0% დაბალ ნიშნულამდე შემცირდა.

მსგავსი ფისკალური კონსოლიდაციის შემდგომ, 2024 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას დღის წესრიგში აღარ იდგა დამატებითი ფისკალური კონსოლიდაცია, შესაბამისად ბიუჯეტის დაგეგმვისას შენარჩუნდა ბიუჯეტის დაბალი დეფიციტი და რესურსები მაქსიმალურად მიიმართა პრიორიტეტული სფეროების დასაფინანსებლად, კერძოდ, 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი ითვალისწინებდა:

- ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულების დაფინანსებას 8,6 მილიარდ ლარზე მეტი მოცულობით;
- განათლების დაფინანსებას 3,6 მილიარდ ლარზე მეტ მოცულობით;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის დაფინანსებას 1,2 მლრდ ლარზე მეტით;
- კულტურისა და სპორტის დაფინანსებას 1 მილიარდ ლარამდე;
- თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების დაფინანსებას 3 მილიარდ ლარამდე;
- ჯამურად ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას 7 მლრდ ლარის ოდენობით.

ჯამურად, 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი განსაზღვრული იყო 28,7 მლრდ ლარის ოდენობით, რომელიც განსაზღვრული იყო შემდეგი ეკონომიკური პარამეტრების მიხედვით:

- რეალური ეკონომიკური ზრდა - 5,2%;
- მშპ-ს დეფლატორი - 3,0%;
- ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი - 86,0 მლრდ ლარი
- საშუალო ინფლაციის მაჩვენებელი - 2,8%;
- ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები - 22,1 მლრდ ლარი;

- ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი - მშპ-ს 2,5%.

ისევე როგორც გასულ წლებში, მიმდინარე წელსაც ეკონომიკური ტენდენციები გაცილებით მაღალი იყო ვიდრე ბიუჯეტის დაგეგმვის დროს იყო პროგნოზირებული. შესაბამისად რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზის გადახედვა პირველად 5 თვის ანალიზის საფუძველზე განხორციელდა და განისაზღვრა 6 %-ის ოდენობით. ამავე პერიოდში განხორციელდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ანალიზიც და გამოიკვეთა დამატებითი საჭიროებები, რომელთა ჯამური მოცულობა 600 მლნ ლარს აღწევდა.

რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზის შემდგომი გადახედვა განხორციელდა 2025 წლის ბიუჯეტის პირველადი ვარიანტის მომზადების დროს და განისაზღვრა 8,2%-ის ოდენობით.

ამ ეტაპზე წარმოდგენილია 2024 წლის ძირითადი ეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების საბოლოო პროგნოზები, კერძოდ:

მშპ რეალური ზრდის პროგნოზი - 9,0%;

მშპ-ს დეფლატორი - 3,1%;

საშუალო ინფლაციის მაჩვენებელი - 1,0%;

ნომინალური მშპ- 90 895,2 მლნ ლარი;

მშპ ერთ სულ მოსახლეზე - 9 027,3 აშშ დოლარი;

ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები - 23 260,0 მლნ ლარი;

ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი - 29 980,0 მლნ ლარი;

ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი - მშპ-ს 2,5%;

მთავრობის ვალი - მშპ-ს 36,8%

ზემოაღნიშნული პარამეტრებიდან გამომდინარე, 1 207,0 მლნ ლარით იზრდება ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, რაც შესაძლებლობას იძლევა დაფინანსდეს მიმდინარე წელს დამატებით გამოკვეთილი საჭიროებები.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ნორმატიულ აქტში ცვლილების (ცვლილების (ცვლილებების) ან/და დამატების (დამატებების) შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით, შესაბამისად „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება უნდა განხორციელდეს კანონით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგი:

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-40 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება.

ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური მაჩვენებლები

განახლებული მაკროეკონომიკური პარამეტრების მიხედვით:

- 2024 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი იზრდება და განისაზღვრება 9,0%-ის ოდენობით;
- მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორის პროგნოზი განისაზღვრება 3,1%-ის ოდენობით;
- შემცირებულია ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი და 1,0%-ს შეადგენს;
- ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა განისაზღვრება 90 895,0 მლნ ლარის ოდენობით;
- ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვრება 23 260,0 მლნ ლარის ოდენობით.

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ პარამეტრებთან მიმართებაში გასათვალისწინებელია, რომ:

- ✓ დეფიციტი - 2024 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო შეადგენს 2 144,0 მლნ ლარს, რაც პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 2,4%-ია. ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული მეთოდოლოგიის შესაბამისად გაანგარიშებული ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს 2 299,0 მლნ ლარს, რაც მშპ-ს 2,5%-ია.
- ✓ 2024 წლის ბოლოსთვის მოსალოდნელი საქართველოს მთავრობის ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა მშპ-ის 36,8%-ია. საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება (2024 წლის ბოლოსთვის), საორიენტაციო შეფასებით მშპ-ის 0.047%-ია და მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს ვალის მოცულობაზე.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების გეგმიური (თავდაპირველი გეგმა) მაჩვენებელი იზრდება 1 218 მლნ ლარით და განისაზღვრება 25 616,0 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები ჯამში იზრდება 1 207,0 მლნ ლარით და 23 260,0 მლნ ლარს შეადგენს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 20 190,0 მლნ ლარს (იზრდება 1 075,0 მლნ ლარით), ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების წილი 3 070,0 მლნ ლარს (იზრდება 132,0 მლნ ლარით);
- გრანტები და სხვა შემოსავლები ჯამურად შეადგენს 2 356,0 მლნ ლარს (იზრდება 11,0 მლნ ლარით);

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) მაჩვენებელი იზრდება 150,0 მლნ ლარით და 500,0 მლნ ლარს შეადგენს;

ფინანსური აქტივების კლების (სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი შეადგენს 230,0 მლნ ლარს;

ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელი შეადგენს 3 370,0 მლნ ლარს;

ზემოაღნიშნული მაჩვენებლების გათვალისწინებით ნაერთი ბიუჯეტის ჯამური შემოსულობები შეადგენს 29 716,0 მლნ ლარს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი იზრდება 1 126,5 მლნ ლარით და შეადგენს 25 696,0 მლნ ლარს, მათ შორის:

- **შემოსავლები - 21 726,0 მლნ ლარი** (დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 995,0 მლნ ლარით);
 - **საგადასახადო შემოსავლები** შეადგენს 20 190,0 მლნ ლარს, რაც დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში გაზრდილია 1 075,0 მლნ ლარით, მათ შორის:
 - ✓ **საშემოსავლო გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრება 6 598,9 მლნ ლარით (იზრდება 253,8 მლნ ლარით).
 - ✓ **მოგების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 070,0 მლნ ლარით (იზრდება 380,0 მლნ ლარით);
 - ✓ **დამატებული ღირებულების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 541,1 მლნ ლარით (იზრდება 152,8 მლნ ლარით);
 - ✓ **აქციზის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 380,0 მლნ ლარის ოდენობით (იზრდება 5,0 მლნ ლარით);
 - ✓ **იმპორტის** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 135,0 მლნ ლარით (მცირდება 15,0 მლნ ლარით);
 - ✓ **სხვა გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 465,0 მლნ ლარის ოდენობით (მცირდება 298,4 მლნ ლარით);
 - **სხვა შემოსავლების** პროგნოზი მცირდება 80,0 მლნ ლარით და განისაზღვრება 1 270,0 მლნ ლარის ოდენობით, (შემცირებულია ეროვნული ბანკის 2023 წლის მოგებიდან მიღებული სახსრები);
 - **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები უცვლელია და განისაზღვრება 266,0 მლნ ლარის ოდენობით;
- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა იზრდება 100,0 მლნ ლარით და შეადგენს 300,0 მლნ ლარს;
- **ფინანსური აქტივების კლების** (სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი უცვლელია და შეადგენს 300,0 მლნ ლარს;
- **ვალდებულებების ზრდის** სახით მისაღები განისაზღვრება 3 370,0 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - საშინაო ფასიანი ქაღალდების წმინდა გამოშვების მაჩვენებელი არ იცვლება და განსაზღვრულია 1 500,0 მლნ ლარით;
 - საინვესტიციო კრედიტების მაჩვენებელი მცირდება 98,5 მლნ ლარით და შეადგენს 1 290,0 მლნ ლარს;
 - საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები კრედიტების მაჩვენებელი იზრდება 130,0 მლნ ლარით და შეადგენს 580,0 მლნ ლარს.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები)

წარმოდგენილი ცვლილებით სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები ჯამურად შეადგენს 25 930,4 მლნ ლარს, რაც დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 900,0 მლნ ლარით.

საბიუჯეტო ასიგნებების ცვლილებები დაგეგმილია შემდეგი მიმართულებებით:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები იზრდება 240,0 მლნ ლარით და განისაზღვრა 8 069,2 მლნ ლარით. დამატებითი თანხა გათვალისწინებულია:

- ✓ 35,0 მლნ ლარი მიიმართება პენსიებისა და კომპენსაციების დასაფინანსებლად. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის პერიოდში პენსიის ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენდა 835 ათასამდე ბენეფიციარს, შესაბამისად ბიუჯეტი გაანგარიშებული იყო დაახლოებით 850 ათას ბენეფიციარზე, თუმცა ოქტომბრის მდგომარეობით ბენეფიციართა რაოდენობა აჭარბებს 860 ათასს. შესაბამისად, წლის ბოლომდე პენსიების შეუფერხებლად დასაფინანსებლად გამოიყოფა დამატებითი ასიგნებები;
- ✓ 20,0 მლნ ლარი მიიმართება მიზნობრივი სოციალური ჯგუფების დახმარებების დასაფინანსებლად;
- ✓ 195,0 მლნ დამატებით გამოყოფილია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დასაფინანსებლად;
- ✓ ათვისების პროგნოზის გათვალისწინებით 10,0 მლნ ლარით მცირდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებები.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსება იზრდება 37,0 მლნ ლარით და შეადგენს 2 545,0 მლნ ლარს. მათ შორის 65,0 მლნ ლარით იზრდება საჯარო სკოლების დაფინანსება, ხოლო 28,0 მლნ ლარით მცირდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან გამოყოფილი კრედიტების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებები;

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსება იზრდება 34,5 მლნ ლარით და განისაზღვრება 506,5 მლნ ლარით. დამატებითი თანხები ძირითადად მიიმართება საერთაშორისო ტურნირებში მიღწეული წარმატებების შესაბამისად სპორტსმენებისათვის ჯილდოების ანაზღაურებით, ასევე სხვადასხვა ეროვნული ნაკრებების საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის ხარჯების დაფინანსებით;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ასიგნებები ჯამურად მცირდება 18,7 მლნ ლარით და განისაზღვრება 782,3 მლნ ლარის ოდენობით. ამასთან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში ასიგნებები გაზრდილია 10,8 მლნ ლარით (ამავდროულად ხორციელდება პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება), ხოლო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებები მცირდება 29,5 მლნ ლარით;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებები იზრდება 50,0 მლნ ლარით და განისაზღვრება 738,0 მლნ ლარის ოდენობით. დამატებითი თანხები მიიმართება რთველის პერიოდში გაზრდილი მოსავლის შესაბამისად დამატებითი ხარჯების, ასევე შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში გაზრდილი სესხების შესაბამისი საპროცენტო ხარჯების სუბსიდირებისთვის.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებები იზრდება 347,0 მლნ ლარით და განისაზღვრება 3 747,7 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის დაფინანსება იზრდება 84,0 მლნ ლარით და შეადგენს 2 017,6 მლნ ლარს;
- ✓ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე დამატებით მიიმართება 10,2 მლნ ლარი და შეადგენს 325,8 მლნ ლარს;
- ✓ წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის დაფინანსება იზრდება 275,0 მლნ ლარით და შეადგენს 825,0 მლნ ლარს, მათ შორის დამატებით 200,0 მლნ ლარი გათვალისწინებულია 2025 წლის განმავლობაში სხვადასხვა მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის, ხოლო 75,0 მლნ ლარი

მიმართება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან გამოყოფილი კრედიტების მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად;

- ✓ სხვა დანარჩენი მიმართულებები ჯამურად მცირდება 22,2 მლნ ლარით;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებები იზრდება 20,0 მლნ ლარით პოლიციელთა შრომის ანაზღაურების შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით და შეადგენს 1 280,0 მლნ ლარს;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ასიგნებები იზრდება 210,0 მლნ ლარით და შეადგენს 1 590,0 მლნ ლარს. დამატებითი თანხებიდან:

- ✓ 139,0 მლნ ლარი მიმართება თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიმართულებით;
- ✓ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე გამოიყოფა დამატებით 20,0 მლნ ლარი;
- ✓ შრომის ანაზღაურების (მ.შ. ჯარისკაცების მატერიალური წახალისების) სრულყოფილად დაფინანსების მიზნით დამატებით გამოიყოფა 35,7 მლნ ლარი;
- ✓ სხვა მიმდინარე და ლოჯისტიკური ხარჯებისთვის გამოყოფილია 15,3 მლნ ლარი;

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაფინანსება იზრდება 5,0 მლნ ლარით და შეადგენს 215,0 მლნ ლარს;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაფინანსება იზრდება 9,0 მლნ ლარით და შეადგენს 423,7 მლნ ლარს (სასჯელაღსრულების დაწესებულებების დასაფინანსებლად).

საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსება იზრდება 2,2 მლნ ლარით და განისაზღვრება 189,7 მლნ ლარის ოდენობით.

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში:

- ✓ სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისთვის გამოყოფილი ასიგნებები, არსებული ეკონომიის გათვალისწინებით მცირდება 175,0 მლნ ლარის ოდენობით;
- ✓ რიგი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებში არსებული დეფიციტების დასაფინანსებლად გამოიყოფა 15,0 მლნ ლარი;
- ✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მოცულობა იზრდება 160,0 მლნ ლარით, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდება როგორც დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები, ასევე სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში მომხდარი სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოები.
- ✓ დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები მცირდება 31,0 მლნ ლარით, რაც დაკავშირებულია რიგი პროექტების ფარგლებში თანხების ჩამორიცხვის ვადების ცვლილებასთან.

წარმოდგენილ კანონპროექტს, განმარტებით ბარათთან ერთად დანართის სახით თან ერთვის მაკრო-ფისკალური პარამეტრები 2021-2028 წლებში. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა 2025 წლის ბიუჯეტის საბოლოო პროექტის მომზადებაზე, რისი გათვალისწინებითაც შესაძლებელია 2025-2028 წლების ფისკალური მაჩვენებლები ნაწილობრივ დაკორექტირდეს. თუმცა, ეს კორექტირება არ შეეხება ისეთ მნიშვნელოვან პარამეტრებს, როგორცაა ბიუჯეტის დეფიციტი, ვალის მოცულობა, ეკონომიკური ზრდის პროგნოზები და სხვა. კორექტირება შესაძლებელია შეეხოს ძირითადად საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილებას.

ამასთან, 2024 წლის ბიუჯეტის ცვლილებების განხილვამდე, საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი იქნება 2025 წლის ბიუჯეტის ბოლო ვარიანტიც, რომელსაც თან დაერთვება ყველა

საჭირო დოკუმენტი (ფისკალური რისკების ანალიზი, ვალის მდგრადობის ანალიზი, მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზი და სხვა).

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრება:

პროგრამული კოდი	დასახელება	/ათასი ლარი/		
		2024 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი	სხვაობა
	სულ ჯამი	25 030 420.7	25 930 420.7	900 000.0
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	86 636.0	86 636.0	0.0
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9 600.0	9 600.0	0.0
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	850.0	850.0	0.0
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	27 000.0	27 000.0	0.0
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	23 290.7	23 290.7	0.0
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	171 219.0	171 219.0	0.0
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	6 200.0	6 200.0	0.0
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	17 400.0	17 400.0	0.0
09 00	საერთო სასამართლოები	137 500.0	137 500.0	0.0
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	10 560.0	10 560.0	0.0
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხორიწყის, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1 380.0	1 380.0	0.0
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1 120.0	1 120.0	0.0
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1 400.0	1 400.0	0.0
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1 190.0	1 190.0	0.0
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1 120.0	1 120.0	0.0
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1 160.0	1 160.0	0.0
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1 080.0	1 080.0	0.0
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1 450.0	1 450.0	0.0
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1 100.0	1 100.0	0.0
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	210 000.0	215 000.0	5 000.0
21 00	საქართველოს პროკურატურა	63 200.0	63 200.0	0.0

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი	სხვაობა
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	4 000.0	4 000.0	0.0
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	114 000.0	114 000.0	0.0
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	801 000.0	782 300.0	-18 700.0
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3 400 700.0	3 747 700.0	347 000.0
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	414 685.0	423 685.0	9 000.0
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	7 829 150.0	8 069 150.0	240 000.0
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	187 500.0	189 700.0	2 200.0
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1 380 000.0	1 590 000.0	210 000.0
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1 260 000.0	1 280 000.0	20 000.0
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	688 000.0	738 000.0	50 000.0
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2 508 044.0	2 545 044.0	37 000.0
33 00	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო	471 956.0	506 456.0	34 500.0
34 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	21 000.0	21 000.0	0.0
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1 900.0	1 900.0	0.0
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	12 500.0	12 500.0	0.0
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	19 000.0	19 000.0	0.0
38 00	სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	4 000.0	4 000.0	0.0
39 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური	8 000.0	8 000.0	0.0
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	102 000.0	102 000.0	0.0
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	11 500.0	11 500.0	0.0
42 00	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი	101 190.0	101 190.0	0.0
43 00	სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო	5 500.0	5 500.0	0.0
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	3 300.0	3 300.0	0.0
45 00	საქართველოს საპატრიარქო	25 000.0	25 000.0	0.0
46 00	სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	15 000.0	15 000.0	0.0
47 00	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი	24 000.0	24 000.0	0.0
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	5 260.0	5 260.0	0.0
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	2 180.0	2 180.0	0.0
50 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	6 500.0	6 500.0	0.0
51 00	სპეციალური საგამომიებო სამსახური	18 000.0	18 000.0	0.0
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	1 100.0	1 100.0	0.0
53 00	სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	600.0	600.0	0.0
54 00	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	4 800.0	4 800.0	0.0

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი	სხვაობა
55 00	სსიპ - ანტიკორუფციული ბიურო	8 500.0	8 500.0	0.0
56 00	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	4 796 100.0	4 760 100.0	-36 000.0

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

პროექტი შეესაბამება არსებულ სამთავრობო პროგრამას.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია კანონის გამოქვეყნებისთანავე.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი სამი წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონის პროექტი განსაზღვრავს მხოლოდ 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულ ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონის პროექტი ვრცელდება 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ბენეფიციარებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

ბ1) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ბ2) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი აერთიანებს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტების და მხარჯავი დაწესებულებების (მათ შორის, შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების) მიერ დაგეგმილი პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელ პროგრამებს და განსაზღვრავს მათი დაფინანსების მოცულობებს, შესაბამისად, წარმოდგენილი კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ზეგავლენის შეფასებას. თითოეული მიმართულებით დაგეგმილი პოლიტიკის გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ზეგავლენა ფასდება ინდივიდუალურად.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებს. აგრეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადებისათვის გამოყენებული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები, ასევე ცვლილებების ძირითადი არსი შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა